საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაბუნაშვილი ელენე აკაკის ასული

ბაბუნაშვილი ელენე აკაკის ასული (3. XII. 1925, თბილისი, –21.I. 2013, იქვე), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1974).

1949 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1952-იდან მუშაობდა ამავე ფაკ-ტის ახ. ქართ. ენის კათედრაზე, 1984-იდან კათედრის გამგე და საქართვ. მინისტრთა კაბინეტთან არსებული თანამედროვე ქართ. *სალიტ.* ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწ. კომისიის წევრი იყო. იკვლევდა ქართ. ენის ისტორიის, ქართ.-სომხ. ენობრივი ურთიერთობის, ქართ. გრამატ. აზროვნების ისტ. საკითხებს; შედგენილი აქვს სახელმძღვანელოები ქართ. ენის შემსწავლელ უცხოელთათვის.

თხზ.: ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970; ქართული ენის თვითმასწავლებელი, თბ., 1974 (თანაავტ. ნ. ნადარეიშვილი); ქართულ-რუსულ-გერმანული სასაუბრო, თბ., 1987 (თანაავტ.: ნ. ნადარეიშვილი, ჰ. ფენრიხი).

მ. მაჭავარიანი